

საიდან იშოვა თორთლაძის პარტიამ ამდენი ფული

გაზეთი “ახალი თაობა” – 26 აპრილი, № 96, 2010

– ბატონო ლადო, რამდენად შესაძლებელია, რომ არსებული პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე 30 მაისის არჩევნების სერიოზული ცვლილებები მოხდეს?

– რეალობა რთულია, მაგრამ არც უიმედო. იმედი ყოველთვის არსებობს. თუ ვინმე ელოდა, რომ ოპოზიცია უნდა გაერთიანებულიყო, ეს მაინც რომანტიზმის გამოვლენა იყო. რეალურად ოპოზიციის გაერთიანება შეუძლებელი იყო, თუნდაც იმ საარჩევნო სპექტაკლის გამო, რასაც შესანიშნავად ათამაშებს ხელისუფლება, როცა მან პრაქტიკულად შექმნა მის კონტროლქვეშ მყოფი ე.წ. ოპოზიცია. დანარჩენ ოპოზიციურ პარტიებს არჩევნბში მონაწილეობა რომც არც მიედოთ, “სახელისუფლო ოპოზიცია” ხელისუფლების საარჩევნო სპექტაკლს მაინც გაათამაშებდა და არჩვნები მაინც დემოკრატიულ და მრავალპარტიულად ჩაითვლებოდა. ხოლო ის, რომ ამის მიღმა სხვა ოპოზიციური პარტიები ვერ გაერთიანდა, ეს გასაკვირი არცაა. როგორ შეიძლება ირაკლი ალასანია ნოღაიდელთან გაერთიანებულიყო. თუმცა მათი შეხვედრა ჭადრაკის სასახლეში შედგა, რაც ჩემი აზრით, შეცდომა იყო. მაგრამ მან ეს შეცდომა დროზე გამოსწორდა. შეიძლება ეს ხალხი, რომელიც საქართველოს მომავალზე ფიქრობს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოზე, იდგეს იმ ხალხთან, ვინც დღეს მოსკოვში დარბის?!

– რატომ, მოსკოვში შეხვედრების გამართვა, სამშობლოს დალატის ტოლფასია?

– აქამდე მოსკოვს ზურგს აქცევდა როგორც ხელისუფლება, ასევე ოპოზიციაც. ახლა უცებ რატომ გახდა ასეთი მნიშვნელოვანი ოპოზიციისთვის რუსეთში ვიზიტები? ამაზე საზოგადოება კარგად უნდა დაფიქრდეს.

– ფიქრობთ, რომ ოპოზიცია რუსეთში ფინანსურ მხარდაჭერას ეძებს?

– არა მარტო ფინანსებს. აშკარად გამოიკვეთა, რომ აშშ-ის როლი პოსტსაბჭოთა სივრცეში კნინდება. პრაქტიკულად ის, რაც მოხდა უკრაინაში, გნახეთ, რომ დასავლეთმა დათმო თავის პოზიციები. გაუთავებელი არეულობაა ყირგიზეთში... ამ პირობებში ჩვენი ოპოზიციის წარმომადგენლები მიღიან მოსკოვში და ცდილობენ, რომ კრემლთან ქულები ჩაიწერონ. ხალხმა

უნდა იცოდეს, რომ დღეს ოპოზიცია მოსკოვთან ვერცერთ საკითხს ვერ გადაწყვეტს, იმიტომ, რომ ოპოზიცია როგორც ასეთი ოფიციალურ ხელისუფლებას არ წარმოადგენს.

— რაზე მიანიშნებთ, ბატონო ლადო, რომ ოპოზიციის ლიდერებს მოსკოვში კავშირების ძებნისკენ სააკაშვილის ხელისუფლებამ და ამერიკის დასუსტებულმა პოზიციამ უბიძგა?

— რა თქმა უნდა. ვხედავთ, რომ ევროპაში აშშ-ი პასიურია. ამერიკა-ევროკავშირის სამიზნე პრეზიდენტი ობამა არ ესწრება. აღარ ვიძახი იმას, რომ კაჩინსკის დაკრძალვის დროს გოლფს თამაშობდა და ვაშინგტონში პოლონეთის საელჩოშიც არ მისულა, რომ სამძიმარი გამოეხატა. საფრანგეთისა და გერმანიის ლიდერებმა, რომლებსაც შეეძლოთ მანქანებითაც ჩასულიყვნენ კაჩინსკის დაკრძალვაზე, თავი არ შეიწუხეს. პოლონეთი ხომ ევროკავშირის და ნატოს წევრი ქვეყანაა. სააკაშვილი რომ ჩავიდა, სწორედ მოიქცა: მას ევალებოდა პოლონეთში ჩასვლა. ამის მერე წარმოიდგინეთ, პოლონელებს რა განწყობა უნდა ჰქონდეთ ამერიკელების მიმართ, ან ნატოში თავინთი პარტნიორების მიმართ. მიუხედავად იმისა, ვის მოსწონდა პოლონეთში კაჩინსკი და ვის არა, მოხდა უბედური შემთხვევა და პოლონეთის პოლიტიკური ელიტის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიღუპა. რუსეთის პრეზიდენტი კი დაკრძალვაზე პოლონეთში ჩავიდა. იმავდროულად შეხედეთ რისეთს — ყველგან დაბლოკა საქართველოს ინტერესები: ეუთოშიც და გაეროშიც. რა ვინმე დღეს სერიოზულად განიხილავს იმას, რომ სოჭში ოლომპიური თამაშები არ ჩატარდეს?! თუ დიდ ოცეულში აღარ ხდება რუსეთის მიწვევა ან დიდი რვიანი დაიშალა? თუ ნატო-რუსეთის კომისია შეჩერდა? მიდის ე.წ. “გადატვირთვის” პოლიტიკა, რომელიც დაარქვა ობამამ და მისმა ადმინისტრაციამ, რაც რეალურად ნიშნავს გადატვირთვას რუსეთის სასარგებლოდ. ფაქტობრივად, ეს ასეა. ობამა შეხვდება თუ არა სააკაშვილს, ეს ქართული პრობლემაა, მაგრამ რეგიონული თვალსაზრისით, სახეზეა, რომ დღეს რუსეთმა ყველა მიმართულებით წარმატებას მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ გლობალური ეკონომიკური კრიზისია და რუსეთსაც უჭირს, მიუხედავად იმისა, რომ ნავთობზე ფასები ისეთი მაღალი აღარ არის, როგორიც კრიზისამდე იყო, რუსეთმა ყველა თავისი პოლიტიკური ჩანაფიქრი წარმატებით განახორციელა.

— რატომ არის მიუღებელი საზოგადოების ნაწილისთვის ოპოზიციის წარმომადგენელთა მოსკოვური ვიზიტები? ფაქტია რუსეთის პირველი პირები

აცხადებენ, რომ სააკაშვილს არ დაელაპარაკებიან. დიალოგი ორ ქვეყანას შორის ხომ აუცილებელია.

– როცა რუსეთის პირველი პირები აცხადებენ, რომ სააკაშვილს არ დაელაპარაკებიან, ეს არის იდეალური სცენარი მოსკოვისთვისაც და საქართველოს დღევანდელი რეჟიმისთვისაც. მოსკოვისთვის იმიტომ არის კარგი, როცა სააკაშვილს არ ელაპარაკებიან, რასაც უნდათ იმას აკეთებენ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ხოლო სააკაშვილისთვის იმიტომ არის კარგი, რომ გააძტიუროს მტრის ხატის ეფექტი და ამით გაიხანგრძლივოს პრეზიდენტობა. რუსეთთან ურთიერთობა უალტერნატივა. არ არის სწორი თითქოს საქართველოს მთავრობას დღეს რუსეთთან არანაირი ურთიერთობა არა აქვს. დაბალ დონეზე ურთიერთობა არის. ეს რომ არა ლარსის საბაჟო-გამშვები პუნქტი არ გაიხსნებოდა. მეორეც, საქართველო არის სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, ისევე როგორც რუსეთი. გაეროში, ევროსაბჭოში, ეუთოში საქართველოს ყოველთვის შეუძლია პარტნიორებთან ერთად გარკვეული დიალოგი დამყაროს ოფიციალურ მოსკოვთან, ანუ ეს ინსტრუმენტიც არსებობს. ხოლო ამა თუ იმ ოპოზიციური ლიდერის რუსებისგან ფულით რუსეთში სიარული და რუს პოლიტიკოსებთან დალაპარაკება, იმ პოლიტიკოსებთან, რომლებმაც საქართველოს ნაწილი დაიპყრეს, მანამ სანამ ეს ლიდერები ხელისუფლებაში ჯერ არ მოსულან (და კაცმა არ იცის მოვლენ თუ არა), სულ სხვა პოლიტიკურ ელფერს იძენს. ეს სხვა არაფერია, რომ მტერთან ქულა ჩაიწერო – მე შენი ვარ, დამეხმარე, რომ ხელისუფლებაში მოვიდე.

– მდორე საარჩევნო კამპანიის მიუხედავად, ზოგიერთი მაინც ფიქრობს, რომ შესაძლოა პროცესები მაინც გააქტიურდეს და რადიკალური ცვლილებებიც მოხდეს.

– რატომ არის მდორე. “უცნობმა” სახალისო კომპონენტი შემოიტანა. ჯერჯერობით საზოგადოებამაც ბოლომდე ვერ გაიგო, მისი გახალისებისთვის გაკეთდა მსგავსი განცხადება, თუმცა “უცნობი” მერობას მართლა აპირებს. მაგრამ ამ ეტაპზე ეს აშკარად გამოკვეთილი სახალისო კომპონენტია. სხვათა შორის, თუ არჩევნების ასეთი გაპამბულება მოხდა, რაც “უცნობის” მხრიდან გამოჩნდა, ესეც ხელისუფლებისათვის სასარგებლო იქნება. ვის აწყობს დღეს ყველაზე მეტად, რომ არჩევნები ოპოზიციისგან გაშარედეს – ხელისუფლებას! ხელისუფლებას აწყობს, რომ საზოგადოებაში შეიქმნას ნიჰილისტური დამოკიდებულება და ხალხი არჩევნებზე არ მივიდეს.

– ფიქრობთ, რომ მერის ამდენი კანდიდატურა სასაცილოა?

– არა, ეს რეალობაა, თუმცა ზოგიერთი კანდიდატი თავისთავად მართლა სასაცილოა. აქვს თუ არა შანსი გიორგი ჭანტურიას გახდეს თბილისის მერი? ძალიან დიდი შანსი აქვს. სცენარი ითქვა კიდეც: იმისათვის, თუ ხელისუფლებას დასჭირდება მსოფლიოს აჩვენოს, რომ როგორი დემოკრატიულია, თბილისის მერის საგარეულს დაუთმობენ ჭანტურიას, ე.წ. ოპოზიციური პარტიის სახეს, რომელიც აგერ ლეიბორისტებს ეჯიბრება დაპირებებში. ჭანტურიას დაპირებები ლეიბორისტული იდეების პლაგიატია. სააკაშვილი საზოგადოებას ეტყვის – გაიმარჯვა ოპოზიციური პარტიის სახემ. დღეს როცა თბილისის მერს ვირჩევთ, თბილისმა უნდა გაიაზროს რა უნდა: უნდა ისეთი მერი, რომელიც ამ სისტემას მოერგება და ჩაეწერება მასში, თუ უნდა მერი, რომელმაც უნდა დაიწყოს ამ სისტემის დემონტაჟი. თუ ხალხს უნდა ამ სისტემის მცირედი ცვლილება, მაშინ შეიძლება ნაციონალური მოძრაობის ნაცვლად ქრისტიან-დემოკრატების ან სხვა მსგავსი ვითომ ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელს დაუჭიროს მხარი. თვითონ გიორგი ჭანტურია იძახის, მე პოლიტიკოსი არა ვარო, მე მეურნე ვარო. მსგავს განმარტებებს იძლევა ბ-ნი გოგი თოფაძეც. ანუ ისინი არ მიღიან პოლიტიკურ ცვლილებებზე, რეუიმის შეცვლაზე. ისინი ამბობენ, ამ რეუიმში, რაც არის, რაღაცეები უნდა გავაუმჯობესოთო. თბილისს ეს უნდა, თუ ის, რომ 2013 წელს ქვეყანაში მართლა შეიცვალოს პოლიტიკური რეუიმი. ნახეთ, ვისი ბილბორდებია გაკრული: გიორგი ჭანტურიასი, ნიკა ივანიშვილისა და დავით იაკობიძის. რას წარმომადგენენ ეს პარტიები და საიდან იშოვეს ამდენი ფული? ეს ხომ იაფი არ არის. გია თორთლაძის დემოკრატიული პარტია უცებ ასეთი მდიდარი გახდა? ამ შემთხვევაში დავით იაკობიძის საწინააღმდეგი არაფერი მაქვს. აქ დასკვნა თვითონ ამომრჩეველმა უნდა გააკეთოს. რაც შეეხება მერობის მრავალი კანდიდატის არსებობას, ისინი ხმებს ხელისუფლებას კი არ ართმევენ, არამედ ნამდვილად ოპოზიციურ კანდიდატს აზარალებენ. ქვეყანას აქვს ორი ალტერნატივა – დასავლეთის ან რუსული გზა. რუსული თანაც უკვე გაუფასურებული გზაა იგივე ნოღაიდელის ფენომენით. დღეს რომ ნოღაიდელი ხალხს ანაბრების დაბრუნებას ჰპირდება, გუშინ და გუშინწინ ფინანსთა პრემიერ-მინისტრი და მინისტრი რომ იყო, ამაზე ხმას რატომ არ იღებდა? ეს ხომ ამორალურობის მწვერვალია. აი ესაა დღეს რუსულ ვექტორთან ნაზავი.

– ხელისუფლების სცენარი თამაშდება იმით, რომ ამდენი მერობის კანდიდატია?

– რა თქმა უნდა. როდესაც ნოღაიდელი იძახის, რომ ბიშვებს გავიმეორებო, ესეც ხომ სახელისუფლო სცენარია. სწორედ ეს სახელისუფლო სცენარი გაახმოვანა “იმედმა” 13 მარტს მოდელირებული ტელექრონიკით.

– თქვენი საუბრიდან გამოდის, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია გამარჯვებისთვის არ იბრძვის. ასეა?

– არასაპარლამენტო ოპოზიცია გამარჯვებისთვის იბრძვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ გამარჯვების მცირე შანსი აქვს.

– რა შანსი აქვს ამ შემთხვევაში ირაკლი ალასანიას ალიანსს?

– ალიანსს მხოლოდ ერთადერთი შანსი აქვს: თბილისელების გონიერების. თუ თბილისელებს აღმოაჩნდებათ გონიერება, მაშინ ალასანია გაიმარჯვებს. მე, პირადად, თბილისელების გონიერების იმედი მაქვს. თბილისელების მოაზროვნე ნაწილის უმეტესობა სწორედ ალიანსის გერდზე დგას.

– ამ ეტაპზე რამდენად შესაძლებელია, რომ მერობის კანდიდატებმა ალასანიას სასარგებლოდ საკუთარი კანდიდატურები მოხსნან?

– არავინ არ მოხსნის. ჭანტურია არ მოხსნის. და თუ ჭანტურია არ მოხსნის, აქედან გამომდინარე არც არავინ მოხსნის. მე არ გამოვრიცხავ იმას, რომ რაღაც ეტაპზე თუ ალიანსმა ნახა, რომ აბსოლუტურად გაყალბებისკენ მიდის ყველაფერი, შეიძლება არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვას. ამ შემთხვევაში ალიანსმა ქართულ საზოგადოებასაც და დასავლეთსაც უნდა აუხსნას, რატომ თქვა უარი არჩევნებში მინაწილეობაზე.

– ეროვნული ფორუმი და ლეიბორისტები ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების მომხრენი არიან და ამ კუთხით აქტიურობისკენ მოუწოდებენ პოლიტიკურ სპექტრსა და საზოგადოებას.

– 2007 წლიდან სულ ეს მოთხოვნა გვესმის, მაგრამ შედეგი ვნახეთ.

– ფიქრობთ, რომ ხალხი ქუჩაში აქციებზე აღარ გამოვა?

– ხალხი ყოველთვის შედეგზეა ორიენტირებული. მე მესმის ლევან გაჩეჩილაძის, ადამიანურად ის მართალია იმაში, რომ ის ხალხთან შეთანხმებული იყო, რომ ხალხი გაეყვანა საპროტესტო აქციაზე, მაგრამ არა სასაკლაოზე. ომში წასაყვანად ის ხალხი არ გამოუწვევია. გაჩეჩილაძე ხალხის სისხლის დაღვრას მოერიდა. მაგრამ, როცა საპატვილი იძახდა, მე რომ ოპოზიციაში ვიყო, ამ ხელისუფლებას 3 თვეში დავამარცხებდიო,

სააკაშვილი ხალხს მართლა გაწირავდა. მან გაწირა კიდეც ხალხი 2003 წელს. შეგახსენებო, ბათუმისა და ბოლნისის მოგლენებს. თავ-პირ დასისხლიანებულები რომ იყვნენ დავითაშვილი, ბერძენიშვილი და ხაბაზი, არ გახსოვთ? ეს ხალხი ხომ გაწირული იყო. თავისუფლად შეიძლებოდა რომელიმე მათგანი მომკვდარიყო, ან სამუდამოდ დაინვალიდებულიყო. სააკაშვილმა ისინი გაწირა და ამით თვითონ არნახული პოპულარობა მოიპოვა.

— სააკაშვილი მართალი იყო, როცა თქვა, ოპოზიცია სუსტია?

— ოპოზიცია რადგანაც კაცომოყვარეა, ამიტომ ვერ შეძლო სააკაშვილის რეჟიმის დამარცხება. ადამიანურად ლევან გაჩეჩილაძის მესმის. ერთი კაცის სისხლადაც არ ღირს ეს ყველაფერი. მაგრამ სააკაშვილისთვის ეს ნორმა არ არსებობდა და არც ახლა არსებობს. სააკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ ქვეყნისა და ეკონომიკის მართვა არ იციან, თორემ ის კი კარგად იციან აქ ხალხი როგორ გამოაყეყენონ, იცის ოპოზიცია როგორ გააბითუროს და როგორ მართოს. ყოველთვის მოიძებნება კაცი, რომელსაც ფულს მისცემ და შენს სასარგებლოდ რადაცას გააკეთებინებ.

შორენა კოწოწაშვილი